ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, ფრაქცია ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს წევრისა და სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრის

გიორგი ბირბიჩაძის

ანგარიში

წარმოგიდგენთ ანგარიშს ჩემს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ, დღემდე ვარ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-6 მოწვევის მაჟორიტარი წევრი (ვაკის რაიონი, ნუცუბიძის მიკრორაიონები, ვაჟა ფშაველას კვარტლები), ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ფრაქცია ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს წევრი, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრი.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია

მოგახსნებთ, რომ 2019 წლის ნოემბრიდან 2020 წლის პირველ ნოემბრამდე ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად ორგანიზება გაუწია 14 კომისიის სხდომის ჩატარებას, კომისიის წევრებმა განიხილეს დღის წესრიგით გათვალისწინებული 23 საკითხი, რომელზეც მომზადდა შესაბამისი კომისიის სხდომის ოქმები და დასკვნები წარმოდგენილ საკითხებთან/ინიციატივებთან დაკავშირებით.

საანგარიშო პერიოდში კომისიაში შემოვიდა 620 განცხადება/წერილი, რომელზეც მოხდა შესაბამისი რეაგირება. მოქალაქეთა მიღებაზე კომისიაში გამოცხადდა 20 მოქალაქე, რომელთაც გაეწიათ შესაბამისი დახმარება ან ზეპირი/წერილობითი კონსულტაცია ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საკითხებთან დაკავშირებით.

წარმოგიდგენთ მონახაზს იმ საკითხებზე, რომლებზეც ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ განიხილა და გასცა რეკომენდაციები.

შესწავლილი საკითხები:

<u>2019 წლის 8 ნოემბერი</u>

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შევიდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში, რომელიც განპირობებულია საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში მიმდინარე წლის 17 ოქტომბერს განხორციელებული ცვლილებებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დამატებით გადმოსაცემი ტრანსფერის - 100 000,0 ათასი ლარის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში ასახვის მიზნით. ბიუჯეტის მოცულობის ზრდისა და მოძიებული რესურსის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

გაიზარდა შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები:

დაავადებათა სკრინინგი (კოდი 06 01 02) – 400,0 ათასი ლარით; აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია (კოდი 06 01 06) – 275,0 ათასი ლარით; ტრანსპლანტაცია (კოდი 06 01 13) – 1 300,0 ათასი ლარით; სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება (კოდი 06 02 02) – 495,0 ათასი ლარით; სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარება (კოდი 06 02 09) – 500,0 ათასი ლარით; სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 06 02 18 07) - 26,1 ათასი ლარით; სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 06 02 18 15) – 75,0 ათასი ლარით; სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 18 16) – 282,0 ათასი ლარით.

შემცირდა შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები:

ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება (კოდი 06 01 07) – 600,0 ათასი ლარით; ,,C" ჰეპატიტის დიაგნოსტიკა (კოდი 06 01 12) – 55,0 ათასი ლარით; სერვის ცენტრებში ბარათების დამზადება (ინიციალიზაცია) (კოდი 06 02 06 04) – 20,0 ათასი ლარით; თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა (კოდი 06 02 21) – 100,0 ათასი

ლარით; უფასო სასადილოებით მომსახურება მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 14 15) – 162,0 ათასი ლარით; დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები კრწანისის რაიონში (კოდი 06 02 16 15) – 100,0 ათასი ლარით; დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 16 16) – 120,0 ათასი ლარით; წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 20 02) – 45,0 ათასი ლარით; სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარება (კოდი 06 02 24) – 30,0 ათასი ლარით; სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება (კოდი 06 02 25) – 145,0 ათასი ლარით.

2019 წლის 20 ნოემბერი

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტით ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა მიმართულებით გათვალისწინებულ იქნა შემდეგი ძირითადი პრიორიტეტების დაფინანსება:

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა განისაზღვრა 151 695,8 ათასი ლარით. პრიორიტეტის ფარგლებში ჯანდაცვის პროგრამისათვის განისაზღვრა 16 722,0 ათასი ლარი, მათ შორის გაგრძელდა ,,c" ჰეპატიტის დიაგნოსტიკის, ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების და ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამები, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია, ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება, ტრანსპლანტაცია. სოციალური დაცვის პროგრამებისთვის ჯამში გათვალისწინებულ იქნა 134 973,8 ათასი ლარი. პროგრამის ფარგლებში გაგრძელდა ქვეპროგრამები, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება, შშმ პირთა საკურორტო მომსახურების პროგრამა, უფასო სწავლება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში, ხელოვნების სკოლებში და სპორტულ დაწესებულებებში, უფასო სასადილოებით მომსახურება რაიონებში, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები რაიონებში. პროგრამა საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მეტროთი და საბაგიროთი უფასოდ ან შეღავათით მოსარგებლე პირთა მომსახურებისათვის. სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების პროგრამა დაიგეგმა 13 527,0 ათასი ლარის ოდენობით, სხვა სოციალური დახმარების ღონისძიებები რაიონებში 18 810,6 ათასი ლარით. ასევე, 2020 წელს

გაგრძელდა ქვეპროგრამები, სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება, სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარება, სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა და სხვა.

ასევე, გაიმართა მსჯელობა გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების ქვეპროგრამის დამატების შესახებ და ასახვა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტში.

<u>2019 წლის 26 დეკემბერი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ.

ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მოსახლეობისათვის სხვადასხვა სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობებების მიზნით, 2020 წელს გაგრძელდა თბილისის მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი და აქტუალური ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური პროგრამები. მათ შორის:

- დაავადებათა სკრინინგი (კოდი: 06 01 02);
- გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლი (კოდი: 06 01 03);
- აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია (კოდი: 06 01 06);
- ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება (კოდი: 06 01 07);
- ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება (კოდი: 06 01 08);
- ,, C “ ჰეპატიტის დიაგნოსტიკა (კოდი: 06 01 12);
- ტრანსპლანტაცია (კოდი: 06 01 13);
- სოციალური დაცვა (კოდი: 06 02);
- კომუნალური სუბსიდირება (კოდი: 06 02 01);
- სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება (კოდი: 06 02 02);
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდთა საკურორტო-სამკურნალო რეაბილიტაცია (კოდი: 06 02 04; 06 02 04 01);
- 100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარება (კოდი: 06 02 05);

- სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სერვისების მიწოდების დაფინანსება (კოდი: 06 02 06; 06 02 06 01; 06 02 06 02; 06 02 06 03; 06 02 06 04);
- სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებები (კოდი: 06 02 09);
- ომის ვეტერანების დახმარება (კოდი: 06 02 10);
- საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) და საბაგირო გზით საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურება (კოდი: 06 02 11);
- მარტოხელა ხანდაზმულთა დღის ცენტრის ხელშეწყობა (კოდი: 06 02 13);
- უფასო სასადილოებით მომსახურება (კოდი: 06 02 14; 06 02 14 06; 06 02 14 07; 06 02 14 08; 06 02 14 09; 06 02 14 10; 06 02 14 11; 06 02 14 12; 06 02 14 13; 06 02 14 14; 06 02 14 15);
- გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები (კოდი: 06 02 15; 06 02 15 07; 06 02 15 08; 06 02 15 09; 06 02 15 10; 06 02 15 11; 06 02 15 12; 06 02 15 13; 06 02 15 14; 06 02 15 15; 06 02 15 16);
- დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია (კოდი: 06 02 16; 06 02 16 07; 06 02 16 08; 06 02 16 09; 06 02 16 10; 06 02 16 11; 06 02 16 12; 06 02 16 13; 06 02 16 14; 06 02 16 15; 06 02 16 16);
- ომის ვეტერანების დახმარება რაიონებში (კოდი: 06 02 17; 06 02 17 07; 06 02 17 08; 06 02 17 09; 06 02 17 10; 06 02 17 11; 06 02 17 12; 06 02 17 13; 06 02 17 14; 06 02 17 15; 06 02 17 16);
- სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები რაიონებში (კოდი: 06 02 18 ; 06 02 18 07; 06 02 18 08; 06 02 18 09; 06 02 18 10; 06 02 18 11; 06 02 18 12; 06 02 18 13; 06 02 18 14; 06 02 18 15; 06 02 18 16);
- წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება რაიონებში (კოდი: 06 02 20; 06 02 20 01; 06 02 20 02; 06 02 20 03);
- სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება (კოდი: 06 02 22);
- ,,ვორლდ ვიჟენ საქართველოს" სოციალურად დაუცველი ბავშვების დღის ცენტრის თანადაფინანსება (კოდი: 06 02 23);
- სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარება (კოდი: 06 02 24);
- სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება (კოდი: 06 02 25);

- შინმოვლის თანადაფინანსება (კოდი: 06 02 26);
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა (კოდი: 06 02 28);

<u>2020 წლის 24 იანვარი</u>

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“;
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“
- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის წესდების (დებულების) დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-88 დადგენილეის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 მარტის №5-18 დადგენილების“ ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“

სხდომაზე წარმოდგენილ იქნა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი. პროექტის პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცდა **„დაავადებათა სკრინინგის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“,** რომელიც განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „დაავადებათა სკრინინგი (კოდი: 06 01 02)“ (შემდგომში – ქვეპროგრამა) განხორციელების პირობებსა და პროცედურებს. აღნიშნული ქვეპროგრამა მოიცავს შემდეგ კომპონენტებს : ძუძუს კიბოს სკრინინგი 40-70 წლის ჩათვლით ასაკის ქალებში, საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი 25-60 წლის ჩათვლით ასაკის ქალებში, პროსტატის კიბოს სკრინინგი 50-70 წლის ასაკის ჩათვლით მამაკაცებში, კოლორექტული კიბოს სკრინინგი 50-70 წლის ასაკის ჩათვლით

ორივე სქესისათვის და ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მართვის პილოტი 25-70 წლის ასაკის ჩათვლით განმახორციელებლის მიერ დამტკიცებული კრიტერიუმების მიხედვით შესაბამისი რისკის მქონე ქალებში.

პროექტის პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცდა **„გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“**, რომელიც განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლი (კოდი: 06 01 03)“ (შემდგომში – ქვეპროგრამა) განხორციელების პირობები და პროცედურები. ქვეპროგრამის მოსარგებელეები არიან საქართველოს მოქალაქეები, ასევე საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირები. აღნიშნული ქვეპროგრამა ფინანსდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლი (კოდი: 06 01 03)“ ასიგნებების ფარგლებში.

პროექტის პირველი მუხლის „გ“ ქვეპუნქტით დამტკიცდა **„აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“**, რომელიც განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია (კოდი: 06 01 06)“ (შემდგომში – ქვეპროგრამა) განხორციელების პირობებსა და პროცედურებს.

პროექტის პირველი მუხლის „დ“ ქვეპუნქტით დამტკიცდა **„C ჰეპატიტის დიაგნოსტიკის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“**, რომელიც განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „C ჰეპატიტის დიაგნოსტიკა (კოდი: 06 01 12)“ (შემდგომში – ქვეპროგრამა) განხორციელების პირობებსა და პროცედურებს. ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 70 001-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები (მ.შ. იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირები, რომლებსაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ – ქალაქი თბილისი) და რომლებიც 2019 წლის 1 აგვისტომდე ჩართულნი არიან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროგრამაში „C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის“ დიაგნოსტიკის კომპონენტში.

პროექტის პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტით დამტკიცდა **„ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამის**

განხორციელების წესი“, რომელიც განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „ტრანსპლანტაცია“ (კოდი: 06 01 13) (შემდგომში – ქვეპროგრამა) განხორციელების პირობებსა და პროცედურებს. ქვეპროგრამა მოიცავს ძვლის ტვინის (მაღალდოზირებული ქიმიოთერაპია, ძვლის ტვინის (ღეროვანი უჯრედების) ტრანსპლანტაციის წინა კვლევებს, ტრანსპლანტაციასა (აუტოლოგიური ტრანსპლანტაცია, ალოგენური ტრანსპლანტაცია, ჰაპლიოიდენტური ტრანსპლანტაცია), მათ შორის, პოსტტრანსპლანტაციური პერიოდის მართვა) და ღვიძლის ტრანსპლანტაციის კომპონენტებს.

პროექტის პირველი მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით დამტკიცდა **„ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესი“,** რომელიც განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება“ (კოდი: 06 01 07) (შემდგომში – ქვეპროგრამა) განხორციელების პირობებსა და პროცედურებს.

პროექტის პირველი მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით დამტკიცდა **„ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურების ქვეპროგრამის განხორციელების წესი“** , რომელიც განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება“ (კოდი: 06 01 08) (შემდგომში– ქვეპროგრამა) განხორციელების პირობებს და პროცედურებს.

ასევე, განხილულ იქნა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი. პროექტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცდა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტი (შემდგომში - პროექტი) .

პროექტის პირველი მუხლის „ა“ პუნქტით დამტკიცდა **„სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარების“ (კოდი: 06 02 25) განხორციელების წესი”, რომელიც** განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარების“ (კოდი: 06 02 25) ქვეპროგრამის განხორციელების პირობებსა და პროცედურებს.

პროექტის პირველი მუხლის „ბ“ პუნქტით დამტკიცდა **„100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარების“ ქვეპროგრამის (კოდი: 06 02 05) განხორციელების წესი“**, რომლითაც განისაზღვრება ქვეპროგრამის მოსარგებლეების კატეგორიები, ქვეპროგრამით გათვალისწინებული დახმარების მოცულობა და ანგარიშგების პირობები.

პროექტის პირველი მუხლის „გ“ პუნქტით დამტკიცდა **„სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარების“ ქვეპროგრამის (კოდი: 06 02 02) განხორციელების წესი”,** კერძოდ ქვეპროგრამის მოსარგებლეების კატეგორიები, ქვეპროგრამით გათვალისწინებული დახმარების მოცულობა, ქვეპროგრამაში ჩართვის პირობები და ანგარიშგების ფორმა.

პროექტის პირველი მუხლის „დ“ პუნქტით დამტკიცდ **„სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარების (კოდი: 06 02 22) და სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარების“ (კოდი: 06 02 24) ქვეპროგრამების განხორციელების წესი”,** რომლითაც განისაზღვრება ქვეპროგრამების მოსარგებლეების კატეგორიები, ქვეპროგრამით გათვალისწინებული დახმარების მოცულობა, ქვეპროგრამაში ჩართვის პირობები და ანგარიშგების ფორმა.

პროექტის პირველი მუხლის „ე“ პუნქტით დამტკიცდა **„უფასო სწავლება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში“ (კოდი: 06 02 06 01) და „უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში“ (კოდი: 06 02 06 02) ქვეპოგრამების განხორციელების წესი“,** კერძოდ ქვეპროგრამის მოსარგებლეების კატეგორიები, ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მოცულობა, ქვეპროგრამის განხორციელების მექანიზმი, ქვეპროგრამაში ჩართვის პირობები და ანგარიშგების ფორმა.

პროექტის პირველი მუხლის „ვ“ პუნქტით დამტკიცდა **„უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში” (კოდი: 06 02 06 03) ქვეპროგრამის ფარგლებში „სოციალურად დაუცველი მოსწავლეების საცურაო აუზებში სწავლების ღირებულების ანაზღაურების წესი“,** რომლითაც განისაზღვრება ქვეპროგრამის მოსარგებლეების კატეგორიები, ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მოცულობა, ქვეპროგრამის განხორციელების მექანიზმი, მოსარგებლეების ქვეპროგრამაში ჩართვის პირობები, ვაუჩერის პირობები, ანაზღაურება და ანგარიშგების წესი.

პროექტის პირველი მუხლის „ზ“ პუნქტით დამტკიცდა **„შინმოვლის თანადაფინანსების“ (კოდი: 06 02 26) ქვეპროგრამის განხორციელების წესი“,** რომლითაც განისაზღვრება ქვეპროგრამის მოსარგებლეების კატეგორიები, ქვეპროგრამით გათვალისწინებული

მომსახურების მოცულობა, ქვეპროგრამის განხორციელების მექანიზმი, მოსარგებლეების ქვეპროგრამაში ჩართვის პირობები და ანგარიშგების წესი.

აქვე განიხილეს, ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის წესდების (დებულების) დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-88 დადგენილებისა და ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 მარტის №5-18 დადგენილების“ ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

,,საქართველოს ორგანულ კანონში ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად (მიღების თარიღი: 18.10.2019, N5204), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებებიდან ამოღებულ იქნა გადაუდებელი სასწრაფო დახმარებით უზრუნველყოფის უფლებამოსილება და განისაზღვრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის, რეორგანიზაციის გზით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრთან მიერთება არაუგვიანეს 2020 წლის 1 იანვრისა.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი ჩაითვალა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის უფლებამონაცვლედ ყველა სახის ურთიერთობაში, ხოლო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაევალა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან კოორდინაციით, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის შემდგომი ფუნქციონირებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფა.

2020 წლის 14 თებერვალი

ა/წ 14 თებერვალს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა და სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიების გაერთიანებული სხდომა.

სადაც მოისმინეს - ინფორმაცია "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №51-104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე (12-03200378-03 / 01-01200364028 06.02.2020).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტში დაემატა შემდეგი ახალი პროგრამა/ქვეპროგრამა:

გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება (კოდი 06 01 05) – რომლის ბიუჯეტი 2 676 500 ლარს შეადგენს.

ქვეპროგრამის მიზანია გაფანტული სკლეროზის მკურნალობის ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდისა და ზემოაღნიშნული მედიკამენტებით სრულფასოვანი მკურნალობის ჩატარების უზრუნველყოფის გზით, გაფანტული სკლეროზის დიაგნოზის მქონე პირთა ინვალიდობის თავიდან აცილება. ქვეპროგრამა გულისხმობს გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების - ოკრევუსის, გილენიას, ავონექსის, რებიფისა და კოპაქსონის დაფინანსებას.

ასევე გაიზარდა შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები:

აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია (კოდი 06 01 06) – 700,0 ათასი ლარით, საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურება (კოდი 06 02 11) – 24 644,5 ათასი ლარით.

დაზუსტდა ბიუჯეტის მე-13 და მე-14 მუხლებში ქვეპროგრამის - საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურება (კოდი 06 02 11) დასახელება და აღწერა.

ასევე, ცვლილება შევიდა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას შეღავათით მოსარგებლე მოქალაქეთა მგზავრობის ფასის/დადგენილი ტარიფის ანაზღაურების შესახებ“.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, 2019 წლის 27 დეკემბრის №51-104 დადგენილებით, დაამტკიცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი, რომლის მე-13 მუხლით დამტკიცდა ქვეპროგრამა „საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურება“ (კოდი: 06 02 11). აღნიშნული ქვეპროგრამის ბოლო აბზაცში აღნიშნულია შემდეგი: „M2 კატეგორიის იმ ავტობუსებით, სადაც მგზავრობის ფასის/დადგენილი ტარიფის გადახდა ხორციელდება ელექტრონული აღმრიცხველი საშუალებების გამოყენებით, ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, ერთჯერადი მგზავრობის ფასის/დადგენილი ტარიფის გათვალისწინებით, ქვემოთ აღნიშნული კატეგორიის მოქალაქეებზე შეღავათიანი (ერთი დღის განმავლობაში ჯამში არაუმეტეს 4 მგზავრობის უფლებით), 50%-იანი ფასდაკლებით მგზავრობის უფლების მინიჭება და ამ შემთხვევაში ფაქტიურად გადაყვანილ თითოეულ მგზავრზე მგზავრობის ფასის/დადგენილი ტარიფის სრული ოდენობის შესავსებად თანხების ანაზღაურება (ნებართვების მფლობელთა მიერ ერთი და იმავე დღის განმავლობაში მე-2 და ყოველი მომდევნო მგზავრობისას განსაზღვრული 0,65 ლარიანი მგზავრობის ფასის შემთხვევაში შეღავათიანი მგზავრობის ფასით/დადგენილი ტარიფით

მოსარგებლე ფაქტიურად გადაყვანილ თითოეულ მგზავრზე 0,33 ლარის ანაზღაურება) თბილისში რეგისტრირებული შემდეგი კატეგორიების მოქალაქეებისათვის: ა) მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები; ბ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები, მათ შორის სამოქალაქო ავიაციის მფრინავები, რომლებიც ასრულებდნენ სპეციალურ რეისებს საომარი მოქმედების ზონაში; გ) სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიებზე საბრძოლო მოქმედებების ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები; დ) სამხედრო ძალების ვეტერანები; ე) მეორე მსოფლიო ომში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიებზე მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების დროს დაღუპულთა (გარდაცვლილთა), მათ შორის, ომის შემდგომ გარდაცვლილთა (უგზო-უკვლოდ დაკარგულთა) ოჯახების წევრები; ვ) „სოციალურად

დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებულ 70000 და დაბალი სარეიტინგო ქულის მქონე თბილისის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეები.“.

<u>2020 წლის 28 თებერვალი</u>

ცვლილება შევიდა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-10 დადგენილებაში. კერძოდ, დადგენილების პირველ მუხლს დაემატა „თ“ ქვეპუნქტი - „გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესი“ - დანართი N8 . აღნიშნული დანართი კი, განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების განხორციელების პირობებსა და პროცედურებს.

აღნიშნული ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან გაფანტული სკლეროზის (G35) დიაგნოზის მქონე 15-დან 60 წლის ასაკის ჩათვლით საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც არიან: დიაგნოსტირებულნი მაკდონალდის სადიაგნოზო კრიტერიუმების თანახმად, სადაც კურცკეს უნარშეზღუდულობის სკალით შეფასებული მდგომარეობა არის 0-დან 6 ქულის ჩათვლით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის განცხადებით მიმართვამდე ბოლო 3 წლის განმავლობაში უწყვეტად და ამავდროულად, ქვეპროგრამაში ჩართვის მომენტისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულნი, მათ შორის, ისეთი პირები, რომლებსაც ამ 3 წლის განმავლობაში შეუწყდათ და კვლავ განუახლდათ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრაცია, თუ ამგვარი შეწყვეტის შედეგად პირი არ დარეგისტრირებულა სხვა მუნიციპალიტეტში, ხოლო იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირები, რომლებსაც რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ – ქალაქი თბილისი.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება ფინანსდება მატერიალიზებული ვაუჩერის/თანხმობის წერილის საშუალებით, ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს ქვეპროგრამით დადგენილი მედიკამენტის ღირებულების და თანაგადახდის ლიმიტისა.

ასევე, კომისიის წევრებმა განიხილეს და შეისწავლეს ინფორმაცია მუნიციპალიტეტში არასამეწარმეო იურიდიული პირის **„სოციალური მზრუნველობის სააგენტოს"** დაფუძნების შესახებ.

სააგენტოს ძირითადი ფუნქციებია:

- ბავშვთა უფლებების დაცვის მუნიციპალური პროგრამების შემუშავება, მათი განხორციელების კოორდინაცია, განხორციელების პროცესის მონიტორინგი და შეფასება;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის განმახორციელებელი სოციალური მუშაკების ქსელის შექმნა და მათი სამოქმედო უბნების განსაზღვრა;
- ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამების განსახორციელებლად შესაბამის დაწესებულებებთან კოორდინირებული მუშაობა;
- არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამების განხორციელების კოორდინაცია;
- ბავშვის უფლებების დაცვის მუნიციპალური პროგრამების განსახორციელებლად შესაბამისი კერძო სამართლის იურიდიული პირების შერჩევა, რეგისტრაცია და შესაბამისი სახელშეკრულებო პირობების განსაზღვრა;
- დამტკიცებული ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამების შესაბამისად სტატისტიკის წარმოება;
- ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის შესახებ მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნა;
- საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებში, მავნე ნივთიერებების ზეგავლენისგან ბავშის დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება;

სააგენტოს ფუნქციები ,,სოციალური მუშაობის შესახებ'' საქართველოს კანონიდან გამომდინარე შემდეგია:

- თბილისის ტერიტორიაზე სოციალური მუშაობის ჩატარება, კოორდინირებისა და ადმინისტრირების უზრუნველყოფა;
- ოჯახში ძალადობის ფაქტების იდენტიფიცირება და მასზე შესაბამისი რეაგირება;
- ბენეფიციარებისათვის შესაბამისი სოციალური, სამედიცინო, შეღავათიანი მომსახურებების თაობაზე ინფორმაციის მიწოდება და მათში ჩართვის ხელშეწყობა;

- მიზნობრივი ჯგუფებისა და მათი ოჯახებისათვის შესაბამისი აუცილებელი ინფორმაციის მიწოდება და კონსულტაციის გაწევა;
- ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სოციალური მუშაობის ჩატარება;

სააგენტოში კანონმდებლობით დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად შეიქმნა შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები.

<u>2020 წლის 3 აპრილი</u>

განხილულ იქნა "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის № 51 - 104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

წარმოდგენილი პროექტით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტში ცვლილებები განხორციელდა, თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთის - 2 200,0 ათასი ლარის გამოყენების გათვალისწინებით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა გაიზარდა 2 200,0 ათასი ლარით და შეადგინა 1 241 180,6 ათას ლარს.

გაიზრდა შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები:

სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 06 02 18 07) – 74,1 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 06 02 18 08) – 148,5 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 06 02 18 09) – 99,8 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 06 02 18 10) – 60,1 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ვაკის რაიონში (კოდი 06 02 18 11) – 22,8 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 18 12) – 18,4 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 06 02 18 13) – 96,3 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 06 02 18 14) – 37,0 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 06 02 18 15) – 40,4 ათასი 2 ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 18 16) – 31,5 ათასი ლარი,

გარდა ამისა, დაემატა ახალი ქვეპროგრამა - სოციალური მზრუნველობის სააგენტოს ხელშეწყობა (კოდი 06 02 07) – 2 200,0 ათასი ლარი, მომუშავეთა რიცხოვნობა 153 ერთეული. ასევე, დაზუსტდა პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში მომუშავეთა რიცხოვნობები.

ასევე, ცვლილება შევიდა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-9 დადგენილებაში. კერძოდ, ცვლილება შევიდა აღნიშნული დადგენილების პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „„უფასო სწავლება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში“ (კოდი: 06 02 06 01) და „უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში“ (კოდი: 06 02 06 01) ქვეპროგრამის განხორციელების წესსა“ და ამავე მულის „ვ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „„უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში“ (კოდი: 06 02 06 03) ქვეპროგრამის ფარგლებში სოციალურად დაუცველი მოსწავლეების საცურაო აუზებში სწავლების დაფინანსების წესში“ (დანართი N6) . ცვლილებების თანახმად, გარდამავალი დებულებების სახით წესებში აისახა, ქვეპროგრამების განმახორციელებელის უფლებამოსილება, ერთჯერადად 2020 წლის მარტსა და აპრილში მიმწოდებლის სტატუსის მქონე დაწესებულებებზე, გასცეს ამავე თვეებში ქვეპროგრამის ფარგლებში დასაქმებული პირების შრომითი ანაზღაურების გაცემისათვის ავანსი, რომელიც თითოეულ თვეში შეადგენს მიმწოდებლის მიერ 2020 წლის თებერვალში წარმოდგენილი ასანაზღაურებელი შემთხვევების ფულადი ოდენობის 100%-ს, გარდა ამისა, ცვლილების თანახმად, მიმწოდებელი ვალდებულია გასწიოს ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება, მიღებული ავანსის მოცულობის შესაბამისად.

ცვლილება შედის ასევე „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-10 დადგენილებაში, კერძოდ, ცვლილება შედის აღნიშნული დადგენილების პირველი მუხლის „გ“ ქვეპუნქით დამტკიცებული „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესში“. ცვლილებების თანახმად, გარდამავალი დებულებების სახით წესში აისახა, ქვეპროგრამის განმახორციელებელის უფლებამოსილება, ერთჯერადად 2020 წლის მარტსა და აპრილში მიმწოდებლის სტატუსის მქონე დაწესებულებებზე, გასცეს ამავე თვეებში ქვეპროგრამის ფარგლებში დასაქმებული პირების შრომითი ანაზღაურების გაცემისათვის ავანსი, რომელიც თითოეულ თვეში შეადგენს მიმწოდებლის მიერ 2020 წლის თებერვალში წარმოდგენილი ასანაზღაურებელი

შემთხვევების ფულადი ოდენობის 100%-ს, გარდა ამისა, ცვლილების თანახმად, მიმწოდებელი ვალდებულია გასწიოს ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება, მიღებული ავანსის მოცულობის შესაბამისად.

აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის მიმწოდებლები, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ პანდემიად აღიარებული ახალი კორონავირუსისა და ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გამო, მოკლებულნი არიან შესაძლებლობას გაუწიონ მომსახურება ბენეფიციარებს და შესაბამისად, მიიღონ ქვეპროგრამის განმახორციელებლისგან შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება, რაც თავის მხრივ ზღუდავს დაწესებულებებს გასცენ ქვეპროგრამის ფარგლებში დასაქმებული პირების შრომითი ანაზღაურება.

ქვეპროგრამების მიმწოდებლები, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ პანდემიად აღიარებული ახალი კორონავირუსისა და ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გამო, მოკლებულნი არიან შესაძლებლობას გაუწიონ მომსახურება ბენეფიციარებს და შესაბამისად, მიიღონ ქვეპროგრამის განმახორციელებლისგან შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება, რაც თავის მხრივ ზღუდავს დაწესებულებებს გასცენ ქვეპროგრამის ფარგლებში დასაქმებული პირების შრომითი ანაზღაურება.

აღნიშნული ცვლილება მიზნად ისახავს ქვეპროგრამის გამართული მუშაობის უზრუნველყოფასა და მიმწოდებლებთან შემდგომი თანამშრომლობის ხელშეწყობას.

<u>2020 წლის 22 მაისი</u>

კომისიამ შეისწავლა და განიხილა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის“ ქვეპორგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტი (შემდგომში - პროექტი) .

პროექტის პირველი მუხლით დამტკიცებული წესი განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა“ (კოდი: 06 02 28) (შემდგომში – ქვეპროგრამა) ფარგლებში დაფინანსების განხორციელების პირობებსა და პროცედურებს. წესის მიზანს წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შემდგომში შშმ) პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, მათი სოციალური დაცვის უზრუნველყოფა და კულტურულ - შემოქმედებით

ღონისძიებებში ჩართვა. წესის თანახმად, ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მიმღები შესაძლეებლია იყოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქე - შშმ პირი, რომელიც რეგისტრირებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, განცხადების წარდგენის მომენტისათვის არანაკლებ ბოლო ერთი წლის განმავლობაში, მათ შორის იმ შემთხვევაშიც, თუ აღნიშნულ პერიოდში შეუწყდა და კვლავ განუახლდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრაცია და ამგვარი შეწყვეტის შედეგად არ დარეგისტრირებულა სხვა მუნიციპალიტეტში, ასევე შშმ პირთა ან/და მათი წარმომადგენელი და შშმ პირთა სერვისის პროვაიდერი ორგანიზაციები.

წესი ასევე ადგენს ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების სახეებს, რომლის თანახმადაც ქვეპრორგამის კომპონენტებს მიეკუთვნება შშმ პირებში კულტურულ - შემოქმედებითი ღონისძიებების განხორციელების, მათი განათლებისა და შემეცნებითი აქტივობების ხელშეწყობა, ასევე შშმ პირების სხვა საჭიროებების უზრუნველყოფა.

<u>2020 წლის 9 ივნისი</u>

კომისიამ განიხილა და შეისწავლა შემდეგი საკითხები: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-9 დადგენილების ცვლილების შესახებ.

კერძოდ, ცვლილება შევიდა აღნიშნული დადგენილების პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „„უფასო სწავლება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში“ (კოდი: 06 02 06 01) და „უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში“ (კოდი: 06 02 06 01) ქვეპროგრამის განხორციელების წესსა“ და ამავე მულის „ვ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „„უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში“ (კოდი: 06 02 06 03) ქვეპროგრამის ფარგლებში სოციალურად დაუცველი მოსწავლეების საცურაო აუზებში სწავლების დაფინანსების წესში“ (დანართი N6) . ცვლილებების თანახმად, გარდამავალი დებულებების სახით წესებში აისახა, ქვეპროგრამების განმახორციელებელის უფლებამოსილება, ერთჯერადად 2020 წლის მარტში, აპრილში მაისსა და ივნისში, მიმწოდებლის სტატუსის მქონე დაწესებულებებზე, გასცეს ამავე თვეებში ქვეპროგრამის ფარგლებში დასაქმებული პირების შრომითი ანაზღაურების გაცემისათვის ავანსი, რომელიც

თითოეულ თვეში შეადგენს მიმწოდებლის მიერ 2020 წლის თებერვალში წარმოდგენილი ასანაზღაურებელი შემთხვევების ფულადი ოდენობის 100%-ს, გარდა ამისა, ცვლილების თანახმად, მიმწოდებელი ვალდებულია გასწიოს ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება, მიღებული ავანსის მოცულობის შესაბამისად.

ქვეპროგრამების მიმწოდებლები, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ პანდემიად აღიარებული ახალი კორონავირუსისა და ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გამო, მოკლებულნი არიან შესაძლებლობას გაუწიონ მომსახურება ბენეფიციარებს და შესაბამისად, მიიღონ ქვეპროგრამის განმახორციელებლისგან შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება, რაც თავის მხრივ ზღუდავს დაწესებულებებს გასცენ ქვეპროგრამის ფარგლებში დასაქმებული პირების შრომითი ანაზღაურება.

აღნიშნული ცვლილება მიზნად ისახავს ქვეპროგრამის გამართული მუშაობის უზრუნველყოფასა და მიმწოდებლებთან შემდგომი თანამშრომლობის ხელშეწყობას.

ასევე ცვლილება შევიდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალსიწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-10 დადგენილებაში. კერძოდ ახალი რედაქციით დამტკიცდა აღნიშნული დადგენილების პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული დაავადებათა სკრინინგის ქვეპროგრამის განხორციელების წესი (შემდგომში წესი).

წესის მოქმედ რედაქციასთან მიმართებით წარმოდგენილი პროექტით შეიცვალა ის, რომ ქვეპროგრამით გათვალისწინებულ კომპონენტის - პროსტატის კიბოს მართვა 50-70 წლის ასაკის ჩათვლით მამაკაცებში გათვალისწინებული მომსახურების მიღება მოსარგებლეებს შეუძლიათ მხოლოდ ოჯახის ექიმის ან შესაბამისი სპეციალისტის მიმართვით, რაც განპირობებულია იმით, რომ აღნიშნული კომპონენტი წარმოადგენს არა სკრინინგს , არამედ დაავადების მართვას, აღნიშნული ცვლილების შედეგად კი, მომსახურება შესაბამსიობაში მოვიდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ადნინისტრირებად პროგრამასთან.

<u>2020 წლის 30 ივნისი</u>

კომისიამ განიხილა ინფორმაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

ცვლილება შევიდა „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესში" (დანართი №3) კერძოდ, მოქმედი რედაქციით, ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურების ერთეულს წარმოადგენს კომპლექსური თერაპიის არანაკლებ ერთსაათიანი ინდივიდუალური ან ჯგუფური სეანსი, რასაც დაემატა სეანსის განხორციელების ალტერნატიული საშუალება - ტელეინტერვენციის (ინდივიდუალური) მოდელით. შესაბამისად, მომდევნო პუნქტშიც აისახა ეს ცვლილება და მოსარგებლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მიეცა სეანსის ტიპის (პირისპირ (ინდივიდუალური ჯგუფური) ან ტელეინტერვენციის მოდელით განხორციელებული სეანსი) არჩევის უფლება. ამასთან, ანგარიშგების ნაწილში გაკეთდა საგამონაკლისო ჩანაწერი, ახალი კორონავირუსის ეპიდემიის დროს გაცდენილი სეანსების აღდგენის შესახებ საანგარიშგებო დოკუმენტაცია წარდგენილი უნდა იქნეს მხოლოდ ქაღალდმატარებლით. ასევე, დაემატა ახალი პუქნტი, რომლის მიხედვითაც განმახორციელებელს, ახალი კორონავირუსის ეპიდემიასთან დაკავშირებით, ქვეპროგრამის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, უფლება აქვს, მიიღოს ამ წესისაგან განსხვავებული გადაწყვეტილება, ვინაიდან, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს ეპიდემიის პირობებში შესაძლებელია გაუთვალისწინებელი შემთხვევების დადგომა.

ასევე, დადგენილების „ე" ქვეპუნქტით დამტკიცებული „ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესის" (დანართი №5) და „ვ" ქვეპუნქტით დამტკიცებული „ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესის" (დანართი №6) ცვლილების მიხედვით, ქვეპროგრამით ისარგებლებენ, მერიისათვის განცხადებით მიმართვის დროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირები, რომლებიც მერიისათვის განცხადებით მიმართვამდე არ ყოფილან რეგისტრირებული საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტში.

დადგენილების „ზ" ქვეპუნქტით დამტკიცებული „გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესის" (დანართი №8) ცვლილების მიხედვით, ქვეპროგრამით ისარგებლებენ, მერიისათვის განცხადებით მიმართვის დროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირები, რომლებიც განცხადებით მიმართვამდე არ ყოფილან რეგისტრირებული საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტში. ამასთან, ვაუჩერის მიღების მიზნით მოსარგებლის განცხადების, თანდართულ დოკუმენტაციას ემატება მედიკამენტი „ოკრელიზუმაბით" მკურნალობის შესახებ, მკურნალობის განმახორციელებელი ექიმის მიერ პირადი ხელმოწერითა და სამკურნალო დაწესებულების ბეჭდით დადასტურებული საბუთი.

2020 წლის 14 ივლისი

კომისიამ მოისმინა და შეისწავლა "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის № 51 - 104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ახალი კორონა ვირუსით (COVID-19) გამოწვეული პანდემიის გამო ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მთავრობამ მარტის დასაწყისიდანვე დაიწყო აქტიური მუშაობა ერთის მხრივ ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების /ქვეპროგრამების ასიგნებების ფარგლებში განსახორციელებელი პროექტებისა და ღონისძიებების დაზუსტებაზე და მეორეს მხრივ ფინანსთა სამინისტროსთან, წლის ბოლომდე მისაღები შემოსავლების განსაზღვრაზე.

წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შევიდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის № 51 - 104 დადგენილებაში, კერძოდ:

გაიზარდა შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები:

სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 06 02 18 07) – 320,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 06 02 18 08) – 320,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 06 02 18 09) – 300,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 06 02 18 10) – 130,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ვაკის რაიონში (კოდი 06 02 18 11) – 60,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 18 12) – 240,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 06 02 18 13) – 240,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 06 02 18 14) – 320,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 06 02 18 15) – 80,0 ათასი ლარით და სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 18 16) – 345,0 ათასი ლარით.

შემცირდა შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები:

კომუნალური სუბსიდირება (კოდი 06 02 01) ქვეპროგრამის ასიგნები - 400,0 ათასი ლარით, სოციალური მზრუნველობის სააგენტოს ხელშეწყობა (კოდი 06 02 07) – 116,8 ათასი ლარით, საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურება (კოდი 06 02 11) – 18 250,0 ათასი ლარით, უფასო სასადილოებით მომსახურება მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 14 15) – 160,0 ათასი ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 16 16) – 60,0 ათასი ლარით, წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება გლდანის რაიონში (კოდი 06 02 20 01) – 495,0 ათასი ლარით, წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 20 02) – 45,0 ათასი ლარით.

გარდა ამისა, დაემატა შემდეგი ახალი პროგრამა/ქვეპროგრამა: წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება სამგორის რაიონში (კოდი 06 02 20 04) – 5,0 ათასი ლარი.

<u>2020 წლის 14 აგვისტოს</u>

ა/წ 14 აგვისტოს კომისიის სხდომაზე შესწავლილ იქნა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

პროექტის თანახმად, დამტკიცდა „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესსა (შემდგომში წესი) და ,,სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების ხელშემწყობი კომისიის“ დებულება (შემდგომში დებულება).

პროექტის პირველი მუხლით დამტკიცდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების“ (კოდი: 06 02 09) ქვეპროგრამის განხორციელების წესი, რომელიც განსაზღვრავს აღნიშნული ქვეპროგრამის განხორციელების პირობები.

სამედიცინო მომსახურებისა და სხვა საჭიროების დაფინანსების თაობაზე მოსარგებლე პირის მოთხოვნას განიხილავს კომისია და იღებს გადაწყვეტილებას დაფინანსების შესახებ რეკომენდაციის გაცემის,მისი მოცულობისა და დაფინანსების არ გაცემის შესახებ. მოსარგებლე პირის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის განცხადების/მიმწოდებლის მიერ მოდულის მეშვეობით წარმოდგენილი მოთხოვნის მიღების შემდგომ, სამსახური შეისწავლის

წარმოდგენილ ინფორმაციას, რის შემდეგადაც დგინდება პირის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრაციის ფაქტი, განსაზღვრული პრიორიტეტულობა, საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამისა და კერძო დაზღვევის ფარგლებში დაფინანსების საკითხი და წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისრულე, შედეგად, სამსახური იღებს ერთ-ერთ გადაწყვეტილებას: განცხადების კომისიისათვის განსახილველად გადაცემის შესახებ, განცხადების ხარვეზის გამოსწორების ვადის დადგენის შესახებ თუ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ არის სრული ან წარმოდგენილი დოკუმენტაციით შეუძლებელია დადგინდეს კრიტერიუმებთან შესაბამისობა და განცხადების განხილვაზე უარის თქმის შესახებ. განცხადების განხილვაზე უარის თქმის საფუძვლებთან დაკავშირებით განხორციელებული ცვლილებების თანახმად, განცხადების განხილვაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც რამდენიმე აქტიური მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში მათი ჯამური ღირებულება არ აღემატება 1000 (ათასი) ლარს, გარდა იმ შემთხვევისა თუ: თითოეული აქტიური მოთხოვნა 1000 (ათასი) ლარზე ნაკლებია, მაგრამ ერთი და იმავე მიმწოდებლის მიერაა ატვირთული ან აქტიური მოთხოვნები სხვადასხვა მიმწოდებლის მიერაა ატვირტული, მაგრამ მათგან ერთი მაინც აღემატება 1000 (ათასი) ლარს, ასევე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს თუ სამედიცინო მომსახურების დაფინანსებისას საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის თანადაფინანსების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემდეგ დარჩენილი თანხა არ აღემატება 1000 (ათასი) ლარს. აღნიშნული დათქმა არ ვრცელდება ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის“ (ს/ნ 406153111) ბენეფიციარებსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ იმ პირებზე, რომლებსაც არ გააჩნიათ რეგისტრაციის კონკრეტული მისამართი. განხილვაზე უარის თქმის საფუძელს ასევე წარმაოდგენს შემთხვევა, როდესაც წარმოდგენილ ფორმა №IV-100/ა-ში პირს უფიქსირდება დიაგნოზი „პრაქტიკულად ჯანმრთელი“, რაც გამომდინარეობს ქვეპროგრამის მიზნებიდან.

2020 <u>წლის 8 სექტემბერი</u>

კომისიამ განიხილა და შეისწავლა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების, აგრეთვე ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო)

რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N6-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

„საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების, აგრეთვე ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს უბნის ინსპექტორები სარგებლობენ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას (ავტობუსები (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო)) უფასო მგზავრობის უფლებით.

ცვლილების თანახმად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს უბნის ინსპექტორებს, ასევე ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივებს (ოპერატიული) მთავარი სამმართველოს მოსამსახურეებს მიენიჭათ ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას (ავტობუსები (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო)) მგზავრობისას შეღავათით სარგებლობის უფლება.

ასევე, წარმოდგენილი ცვლილებით ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებში (ავტობუსები (M3 კატეგორია), მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტი (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასო მგზავრობის

უფლებით სარგებლობის უფლება ექნებათ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „სოციალური მზრუნველობის სააგენტოს“ თანამშრომლებს.

2020 წლის 1 ოქტომბერი

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიამ შეისწავლა საკითხი „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M_3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების, აგრეთვე ავტობუსებით (M_3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში. ცვლილების შეტანა გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით, კერძოდ:

„შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ 2019 წლის 11 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე განხორციელდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს რეორგანიზაცია და მისი ფუნქციები და უფლებამოსილებები (მეურვეობისა და მზრუნველობის, აგრეთვე საერთაშორისო შვილად აყვანის მიმართულებებით) გადაეცა საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად 2020 წლის 1 თებერვლიდან საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო ჩაითვალა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს უფლებამონაცვლედ (მეურვეობისა და მზრუნველობის, აგრეთვე საერთაშორისო შვილად აყვანის მიმართულებებით საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში). აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტში მოხსენიებული სოციალური მუშაკები (რომლებზეც ვრცელდება შეღავათიანი მგზავრობის ტარიფი) 2020 წლის 1 თებერვლიდან წარმოადგენენ საქართველოს

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულებში - თბილისის რაიონულ ცენტრებში დასაქმებულ პირებს, უნდა შევიდეს შესაბამისი ცვლილება "საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა" და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა" მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების, აგრეთვე ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ი" ქვეპუნქტში, რათა თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებში (ავტობუსები (M3 კატეგორია), მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტი (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით (0,2 ლარი) მგზავრობის უფლება მიეცეთ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულებში - თბილისის რაიონულ ცენტრებში დასაქმებულ სოციალურ მუშაკებს. ასევე, კორექტირებას საჭიროებს ამავე დადგენილების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის „ბ.გ" ქვეპუნქტი (საჯარო სამართლის იურიდიულ პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ნაცვლად უნდა ჩაიწეროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო), ვინაიდან „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" 2019 წლის 11 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის საფუძველზე საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდს შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა,

დაზარალებულთა დახმარების სააგენტო, შესაბამისად დადგენილების ზემოაღნიშნულ პუნქტში მოხსენიებული ფილიალები (ხანდაზმულთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პანსიონატები, ბავშვთა სახლები) და სტრუქტურული ერთეულები (ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრები, კრიზისული ცენტრები) წარმოადგენენ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ფილიალებს და სტრუქტურულ ერთეულებს.“.

აქვე, სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტომ 2020 წლის 28 ივლისს წერილობით აცნობა სსიპ – თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს, რომ 28 ივლისის მდგომარეობით სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრში დასაქმებული იყო ჯამში 52 უფროსი სოციალური აგენტი და სოციალური აგენტი, რომელთა რიცხვი წლის განმავლობაში ცვალებადია და მაქსიმალურმა რაოდენობამ შესაძლოა შეადგინოს 79. ამასთან, სსიპ – თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს 2020 წლის 4 აგვისტოს წერილით, ეცნობა, რომ 2020 წლის 3 აგვისტოს მდგომარეობით, სააგენტოს თბილისის რაიონულ ცენტრებში დასაქმებული სოციალური მუშაკების რაოდენობა იყო 72, ეს რიცხვი წლის განმავლობაში ცვალებადია და მაქსიმალურმა რაოდენობამ შესაძლოა შეადგინოს 77. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის 2020 წლის 13 აგვისტოს წერილის მიხედვით იმდღევანდელი მდგომარეობით სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის მომსახურების ცენტრებში დასაქმებულ სოციალურ აგენტსა და სოციალურ მუშაკზე სამსახურის მიერ გაცემული მოქმედი სამგზავრო პლასტიკური ბარათების საერთო რაოდენობა შეადგენდა 54 ერთეულს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შემუშავდა წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც შეთანხმებულია საჯარო სამართლის იურიდიულ პირ – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსთან და სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოსთან.

2020 წლის 15 ნოემბერი

თბილისის საკრებულოს მხარდაჭერით და საქართველოს დიაბეტისა და ენდოკრინოლოგიური ასოციაციების კავშირის ორგანიზებით, დედაქალაქის წარმომადგენლობით ორგანოში, დიაბეტის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა.

არაგადამდებ დაავადებათა შორის დიაბეტი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დაავადებაა. და მსგავსი ღონისძიების ჩატარება დაავადებასთან ბრძოლის მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯია.

დიაბეტის საერთაშორისო დღე საკრებულოს თამარ მეფის სახელობის დარბაზში აღვნიშნეთ. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, დღეისათვის მსოფლიოში 435 მილიონზე მეტი ადამიანია დიაბეტით დაავადებული და მნიშვნელოვანია, მოსახლეობის ინფორმირება, რომ სწორი და ნაადრევი დიაგნოსტირების შემთხვევაში დაავადების მართვა და პრევენცია შესაძლებელია. თბილისის საკრებულო, ხელისუფლებასთან ერთად, დაავადების მიმართ ცნობიერების ამაღლების პროცესში მაქსიმალურად ჩართულია.

შეხვედრას დიაბეტისა და ენდოკრინოლოგიურ ასოციაციათა კავშირის თავმჯდომარე რამაზ ყურაშვილი, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე თამარ

გაბუნია,დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი ამირან გამყრელიძე, სამედიცინო სფეროს სხვა წარმომადგენლები, დიაბეტის მქონე პირები და მათი ოჯახის წევრები დაესწრნენ.

გიორგი ბირბიჩაძე - ქალაქ თბილსიის მუნიციპალიტეტის მერიის სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების ხელშემწყობის კომისიის წევრი.

2109 წლის ნოემბრიდან 2020 წლის ნოემბრამდე კომისიამ განიხილა და დახმარება გაუწია დაახლოებით 11251 ბენეფიციარს შემდეგი კლასიფიკაციით:

დაავადების კლასი	**სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილებლი მოთხოვნების რაოდენობა**	**კომისიის გადაწყვეტილება ლარი**
ინფექციური დაავადებები	57	30,454
სიმსივნეები	3,770	5,420,485
კეთილთვისებიანი სიმსივნეები	705	708,852
ენდოკრინული სისტემის, კვლევებისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევით	305	105,683

გამოვლენილი დაავადებები		
ფსიქიკური და ქცევითი აშლილოებები	149	46,815
ნერვული სისტემის დაავადებები	655	446,100
თვალის, მისი დანამატებისა და ყურის, დვრილისებრი მორჩის დაავადებები	125	99,441
სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებები	2,638	2,239,778
სასუნთქი სისტემის ავადმყოფობები	208	143,813
საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებები	418	440,118
ძვალ - კუნთოვანი სისტემის და შემადგენელი ქსოვილების დაავადებები	847	766,272
შარდ - სასქესო სისტემის დაავადებები	464	363,919
ორსულობა, მშობიარობა და ლოგინობის ხანა	14	7,120
პერინატალურ პერიოდში განვითარებული ზოგიერთი მდგომარეობები	2	15,900
თანდაყოლილი მანკები, დეფორმაციები და ქრომოსომული დარღვევები	166	152,083
განვითარების ეტაპების დაყოვნება	235	145,283
დაზიანებები (ტრავმები, მოწამვლები)	216	233,091
ყველა სხვა დაავადება	277	278302

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის გიორგი ბირბიჩაძისა და მისი წარმომადგენლობის საქმიანობა სამაჟორიტარო რაიონში (ნუცუბიძის მიკრორაიონები, ვაჟა-ფშაველას კვარტლები)

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ 2017 წლის 5 დეკემბრის N5-4 დადგენილების მე-15[1] მუხლის შესაბამისად, მაჟორიტარი საკრებულოს წევრის საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ საკრებულოს მაჟორიტარი წევრის უფლებამოსილების ვადით შეიქმნა წარმომადგენლობა. წარმომადგენლობის ძირითადი ამოცანებია:

- საკრებულოს მაჟორიტარი წევრის ამომრჩევლებთან შეხვედრების ორგანიზება;
- ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტაში საკრებულოს მაჟორიტარი წევრის მონაწილეობის ხელშეწყობა;
- ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების განხილვასა და გადაწყვეტაში საზოგადოების ჩართულობის გაზრდის ხელშეწყობა;

წარმომადგელობა თავისი ამოცანების შესასრულებლად უზრუნველყოფს:

- საკრებულოს მაჟორიტარი წევრის მოქალაქეებთან შეხვედრების, მათ შორის, საჯარო შეხვედრების ორგანიზებას;
- მოქალაქეთა წერილების, საჩივრების, განცხადებების საქმისწარმოების ერთიან ელექტრონულ აღრიცხვას, შესწავლას;
- წარმომადგენლობაში შესული განცხადებების, წერილების ანალიზს და შესაბამის რეაგირებას;
- სათანადო დასკვნების, რეკომენდაციების ან/და წინადადებების მაჟორიტარი საკრებულოს წევრისთვის წარდგენას;
- საკრებულოს მაჟორიტარი წევრის ხელშეწყობას საკანონმდებლო ან/და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, კერძო/საჯარო დაწესებულებებთან,

საერთაშორისო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, მედია საშუალებებთან ურთიერთობისას;

- საკრებულოს მაჟორიტარი წევრის ხელშეწყობას კანონის შესაბამისად ანგარიშის წარდგენაში;
- საკრებულოს მაჟორიტარი წევრის სამაჟორიტარო ოლქში არსებული პრობლემებისა და აქტუალური საკითხების იდენტიფიცირებაში ხელშეწყობას;
- ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების /პრობლემების აღმოფხვრისა და გადაწყვეტისათვის მაჟორიტარის უფლებამოსილების ვადით შესაბამისი გეგმის შემუშავებაში ხელშეწყობას;
- წარმომადგენლობის საქმიანობისთვის საჭირო სხვა ფუნქციების განხორციელებას.

საკრებულოს მაჟორიტარი წევრი და მისი წარმომადგენლობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგეობასთან ყოველდღიური მუშაობის რეჟიმშია. სამაჟორიტარო ტერიროტორიაზე ვრცელდება ვაკის რაიონის გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ორი საუბნო განყოფილების საქმიანობა. კერძოდ: ვაჟა ფშაველას ტერიტორიული ერთეულის და ნუცუბიძის ტერიტორიული ერთეულის.

თანამშრომლობს, როგორც ცენტრალური ხელისუფლების შესაბამის ორგანოებთან, ასევე სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან.

ქალაქ თბილისის საკრებულოს ვაკის რაიონის (ნუცუბიძის მიკრორაიონები, ვაჟა-ფშაველას კვარტლები) მაჟორიტარი დეპუტატი, გიორგი ბირბიჩაძისა და მისი წარმომდგენლობის მიერ დაგეგმილი გასვლითი შეხვედრები მოსახლეობასთან ან სხვადასხვა სამუშაოების მიმდინარეობის მონიტორინგისთვის ხორციელდება ასევე, არასამუშაო დღეებშიც.

მაჟორიტარი წევრის მიერ მოქალაქეთა მიღება ხდება სისტემატურად ყოველ ოთხშაბათ დღეს.

სამაჟორიტარო ოლქში იდენტიფიცირებული პრობლემები:

მოალაქეებთან შეხვედრების, წარმომადგენლობაში მოსახლეობის მხრიდან შემოსული განცხადებების, ასევე წარმომადგენლობის თანამშრომლების მიერ ადგილზე მოკვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის გაანალიზებით, სამაჟორიტარო ოლქში გამოვლინდა პრობლემები სხვადასხვა მიმართულებებით, კერძოდ:

ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით:

- ჯანდაცვის სხვადასხვა პროგრამებით სარგებლობის საჭიროება
- მედიკამენტების დაფინანსების საჭიროება

სოციალური მიმართულებით:

- სხვადასხვა სახის სოციალური, მათ შორის ერთჯერადი ფინანსური დახმარების საჭიროება
- მოსახლეობის დასაქმება

ინფრასტრუქტურული მიმართულებით:

- გზების მშენებლობა
- სანიაღვრე ქსელების, წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემების გაუმართავი ფუნქციონირება
- გარე განათების ბოძების ნაკლებობა
- საყოფაცხოვრებო ნარჩენების განთავსებისათვის ურნების სიმცირე

ტრანსპორტის მიმართულებით:

- საზოგადოებრივი ტრანსპორტის არასაკმარისი რაოდენობა
- დაზიანებული გაჩერების ადგილების შეკეთება

ტერიტორიების გამწვანების და რეკრეაციის მიმართულებით:

- არსებული ბაღების და სკვერების კეთილმოწყობა
- ახალგაზრდებისათვის შესაბამისი დასასვენებელი, გამაჯანსაღებელი და სარეკრეაციო ადგილების შექმნა

მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიმართულებით:

- ტერიტორიაზე არსებულ შენობა-ნაგებობეში შეჭრილი მოსახლეობის ფართების დაკანონება
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშემწყობი პროგრამებით სარგებლობის საჭიროება.

განხორციელებული აქტივობები:

მოქალაქეებთან კომუნიკაცია

კონსულტაცია გაეწია 123 მოქალაქეს და ჩვენი შუამდგომლობით მედიკამენტებსა და ერთჯერად ფინანსურ დახმარებაზე შემოსული 54 განცხადებიდან დაკმაყოფილებულია უმრავლესობა. ასევე შემოსულია განცხადებები სკვერის უზრუნველყოფის, შუამდგომლობების, მრიცხველის დაყენების და ქონების სიმბოლურ ფასად გადაცემის შესახებ. მოსახლეობის მოთხოვნით კონკრეტულ მისამართებზე განხორციელდა 16 შეხვედრა, რომელთა უმრავლესობა ვაკის რაიონის გამგეობის ბიუჯეტის გათვალისწინებით დაკმაყოფილებულია.

კორონავირუსის გავრცელების პრევენციის პერიოდში მოსახლეობის დახმარების კამპანია

საკრებულო, დედაქალაქის მთავრობასთან ერთად, აქტიურად იყო ჩართული კორონავირუსის გავრცელების პრევენციის პერიოდში მოსახლეობის დახმარების კამპანიაში. აღნიშნული კამპანია კერძო სექტორის დახმარებით წარმატებით განხორციელდა.

კერძო სექტორთან თანამშრომლობით ჩემს სამაჟორიტარო ოლქში მცხოვრებ მრავალშვილიან ოჯახებს საკვები პროდუქტები და პირველადი მოხმარების ნივთები გადავეცით.

საკვები პროდუქტი და პირველადი მოხმარების ნივთები 70 მდე მრავალშვილიან ოჯახს გადაეცა.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნვულყოფა

ჩემს წარმომადგენლობასთან ერთად ჩართული ვარ, სამაჟორიტარო ოლქში არსებული ორი სოციალურად დაუცველთა სასადილოს ფუნქციონირებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების საკითხთა მოგვარებაში.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამებით სარგებლობის მიზნით ჩვენგან პერიოდულად მზადდება შუამდგომლობები და ეგზავნება ვაკის რაიონის გამგეობას და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის უფლებამოსილ სამსახურს.

სამაჟორიტაროოლქში დაფინანსებული ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები

დასახელება	ბენეფიციართა რაოდენობა
მკურნალობა/ოპერაციისდაფინანსება	662
მედიკამენტებისდაფინანსება	2832
ერთჯერადიფულადიდახმარება	1908
საშენი მასალით დახმარება	24

ინფრასტრუქტურა

ჩემი როგორც, საკრებულოს მაჟორიტარი წევრის ქ. თბილისის მერიის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან და ვაკის რაიონის გამგეობასთან ინტენსიური თანამშრომლობის შედეგად, სამაჟორიტარო ტერიტორიაზე შესაბამისი უფლებამოსილი სამსახურების მიერ განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული სამუშაოები:

- ✓ საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა
- ✓ გზების და ქუჩების ორმოული შეკეთება
- ✓ სანიაღვრე ქსელის მოწყობა
- ✓ სკვერების რეაბილიტაცია, ახალი სკვერებისა და სპორტული მოედნების მოწყობა
- ✓ კიბეებისა და საყრდენი კედლების მოწყობა

გზების რეაბილიტაცია		
	ქუჩების დასახელება	კვ.მ
1	თხინვალა, ელენე ვირსელაძის ქუჩა	206.09
2	თხინვალა, იოსებ კეჭაღმაძის 2 გასასვლელი	272.48
3	თხინვალა, იოსებ კეჭაღმაძის 5 შესახვევი	194.58
4	თხინვალა, იოსებ კეჭაღმაძის 3 გასასვლელი	284.27

5	თხინვალა, იოსებ კეჭაღმაძის 3 შესახვევი	167.20
6	თხინვალა, იოსებ კეჭაღმაძის 2 შესახვევი	118.24
7	თხინვალა, მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის ქუჩა	237.57
8	თხინვალას მიმდებარე ტერიტორია	263.19
9	მიქელაძის ქუჩა	135.00
10	თხინვალა იოსებ კეჭაყმაძის 1 გასასვლელი	277.58
11	ზ. საკანდელიძის ქ.11-ის მიმდებარედ	1.50
12	ლორთქიფანიძის ქუჩა	520.00
13	ქუთათელაძის ქუჩა	342.00
14	სხირტლაძის ქუჩა	556.00
15	ვაჟა-ფშაველას გამზირი კვარტ #4 კორპ #7	140.00
16	ვაჟა-ფშაველას 2 კვ	260.00
17	ქავთარაძის ბაზრობა	919.60
18	ბედიას ქ. ნ4 მიმდებარედ	506.00
19	ნუცუბიძის ქ. 215	925.70
20	საბურთალოს სასაფლაოზე პეჩორელ მამათა ეკლესიის მიმდებარედ	1,327.00
21	ნუცუბიძის 4 მრ 10 ვ კორპუსი	257.50
22	ვაჟა-ფშაველა 2 კვარტ. 12,18,19,35,36 კორპუსები	2,963.30
23	დელისის 3 ქუჩიდან გურიელის ნ5ა-ს მიმდებარედ	1,003.00
24	ვაჟა ფშაველას 1 კვ. ნ8	258.00
25	ვაჟა ფშაველას 1 კვ. ნ9	739.20
26	ალ. იოსელიანის ქ. 34-დან 54ა-მდე	2,664.00
27	ქავთარაძის ქუჩა 72-74 კორპ	923.00
28	ნუცუბიძის პლ 3მ/რ კვარტ. 1 კორპ. გამრეკელის 23	758.00
29	ლორთქიფანიძის N34ა	590.00
30	ქავთარაძის ქუჩა ნ. 43	711.00
31	იოსელიანი და ვასილევსკოს ქუჩები	751.59
კედლები		
1	ვაკის რაიონში, ჯ. ნადირაძის ქ. მოსაწყობი საყრდენი კედელი	

2	ვაკის რაიონში, ბილფელდის ქ. 1-ლ ჩიხში მოსაწყობი საყრდენი კედელი
3	ო.ლორთქიფანიძის 18-ის მიმდებარედ მოსაწყობი საყრდენი კედელი
სკვერები	
1	ნუცუბიძის პლატო IV მ/რ №28-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა
2	ყაზბეგის გამზ. №55-ის არსებული სკვერის მოწყობა
3	ნუცუბიძის პლატო IV მ/რ №15-ის მიმდებარედ სკვერის რეაბილიტაცია
4	ნუცუბიძის პლატო V მ/რ №3-ის მიმდებარედ სკვერის რეაბილიტაცია
5	ნუცუბიძის პლატო I მ/რ №14-ის მიმდებარედ სკვერის რეაბილიტაცია
6	ნუცუბიძის პლატო III მ/რ №8-ის მიმდებარედ სკვერის რეაბილიტაცია
7	ნუცუბიძის ქ. №221/5 და 215-ს შორის არსებული სკვერის რეაბილიტაცია
8	ქავთარაძის ქ. №34-ის მიმდებარედ არსებული სკვერის რეაბილიტაცია
9	ნუცუბიძის 4 მ/რ 22 კორპუსის მიმდებარედ არსებული სკვერის რეაბილიტაცია
10	ვაჟა-ფშაველას 4-5კვარტლის მიმდებარედ სკვერის მოწყობის პროექტის ხარჯთაღრიცხვა
11	ვაჟა-ფშაველას კვარტალი II,კორპუსის 11_ის მიმდებარედ მოწყობის პროექტის ხარჯთაღრიცხვა
12	ნუცუბიძის ქუჩა №179, კორპუსი №2-ის მიმდებარედ მოწყობის პროექტის ხარჯთაღრიცხვა
13	ნუცუბიძის II მ/რ, I კვარტალი, კორპუსი N7-ის მიმდებარედ არსებული სკვერის მოწყობის პროექტის ხარჯთაღრიცხვა
15	ვაკის რაიონში, ვაჟა-ფშაველას VII კვ, კორპ N4-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობის სამუშაოები
16	ქავთარაძის 72 მიმდებარედ სკვერის მოწყობის სამუშაოები
სტადიონები	
1	ვაჟა-ფშაველას 3კვ 10-15 კორპუსის მიმდებარედ არსებული სპორტული მოედანი
2	წყნეთის ქუჩა 1 მიმდებარედ არსებული სპორტული მოედანი
3	ვაჟა-ფშაველას 2კვ 25 კორპუსის მიმდებარედ არსებული სპორტული მოედანი
4	ვაჟა-ფშაველას 7კვ 2-3კორპუსის მიმდებარედ არსებული სპორტული მოედანი

5	ნუცუბიძის 3მრ 2კვ 1 კორპ მიმდებარედ არსებული სპორტული მოედანი
6	ნუცუბიძის 4მ/რ 22 კორპუსის მიმდებარედ არსებული სპორტული მოედანი
7	ნუცუბიძის 3მრ 4კვ 3 კორპ მიმდებარედ არსებული სპორტული მოედანი
8	ნუცუბიძის 2მრ 1კვ 8 კორპ მიმდებარედ არსებული სპორტული მოედანი
9	ნუცუბიძის 1მრ 1 კორპ მიმდებარედ არსებული სპორტული მოედანი

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობა - სამაჟორიტარო ოლქში დაფინანსებული პროექტები.

სამაჟორიტარო ტერიტორიაზე 1120 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობაა დარეგისტრირებული. ამხანაგობების განვითარების და ხელშეწყობის მიზნით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგეობამ ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსების ფარგლებში სამაჟორიტარო ტერიტორიაზე განახორციელა სხვადსხვა პროექტები, მათ შორის როგორიცაა: სახურავის, წყალსაწრეტის, ლიფტის, შიდა წყალკანალიზაციის, სადარბაზოს, ნაპრალებისა და კიბეების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

სახეობა	**რაოდენობა**
წყალ-კანალიზაციის მოწყობა	20
სადარბაზოს რეაბილიტაცია	2
სადარბაზოს კარი	4
კიბეების მოწყობა	10
სახურავი	21
წყალსაწრეტი	9
ნაპრალები	4
ლიფტი	32

2020 წლის 31 იანვარი

ვაჟა-ფშაველას პირველი კვარტლის № 8 და № 9 კორპუსების მიმდებარედ გზის საფარის 1350 კვ.მ აღდგა. შევხვდი ვაჟა-ფშაველას პირველი კვარტლის მაცხოვრებლებს.

2020 წლის 10 თებერვალი

ვაჟა-ფშაველას მეორე კვარტლის N12, N18, N19, N35, N36 კორპუსების მიმდებარედ შიდა ეზოს განახლება განხორციელდა. სამუშაოების შედეგად, ტერიტორიაზე გადაადგილება ბევრად უფრო კომფორტული გახდა. პროექტის შედეგად, გზის საფარი 1725 კვ. მ ფართობზე განახლდა. გარდა ამისა, ამავე ტერიტორიაზე N36 კორპუსის წყლისა და წყალარინების ქსელის რეაბილიტაცია განხორციელდა. სამუშაოების ფარგლებში, სრულად განახლდა წყალარინების სისტემა. მოხდა სამუშაოების ადგილზე მონახულება.

2020 წლის 11 თებერვალი

შევხვდი ნუცუბიძის ქ. 179, კორპ. N2-ის მცხოვრებლებს ამავე კორპუსთან სკვერის მოწყობის თაობაზე.

2020 წლის 2 ივნისი

შევხვდი ვაჟა-ფშაველას მე-2 კვარტლის მე-8 კორპუსის მაცხოვრებლებს. მოსახლეობასთან ერთად მიმდინარე საკითხები განვიხილეთ და სამომავლო გეგმებზე ვიმსჯელეთ.

2020 წლის 9 ივნისი

თბილისის მერიის ინიციატივითა და უწყებათაშორის საკოორდინაციაო საბჭოს რეკომენდაციით, დედაქალაქის საჯარო ბაღებში აღსაზრდელების მშობლებისთვის პროდუქტების გადაცემა გრძელდება.

ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორთან ერთად დავესწარი ვაკის რაიონში მდებარე 142-ე ბაგა-ბაღში პროდუქტების გადაცემის პროცესს . პროცესი სპეციალისტების რეკომენდაციებისა და შესაბამისი წესების დაცვით მიმდინარეობდა.

2020 წლის 10 ივლისი

ვაკის რაიონის გამგეობის ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში, ვაჟა-ფშაველას VII კვარტლის N4 კორპუსის მიმდებარედ სკვერის რეაბილიტაციის პროცესი მოვინახულე.

პროექტის თანახმად, ვაჟა-ფშაველას გამზირის ერთ-ერთ ცენტრალურ ზოლში 4 200-მდე კვ.მ ფართობის დასასვენებელი სივრცე მოეწყო. სამუშაოების შედეგად, ტერიტორიაზე განთავსდება საბავშვო სივრცე კომპლექსური ატრაქციონებით, სკვერში დაირგო სხვადასხვა სახის მცენარეები და ბალახი.

2020 წლის 10 აგვისტო

ვაკის რაიონს კიდევ ერთი ახალი სკვერი შეემატება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, შევხვდი ადგილობრივ მოსახლეობას და რაიონში არსებული საჭიროებები განვიხილეთ და სამომავლო გეგმებზე ვიმსჯელეთ.

2020 წლის 14 აგვისტო

ვაკის რაიონის გამგეობის ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში და ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობის მიზნით, ნუცუბიძის III მიკრორაიონის II კვარტლის I კორპუსის მიმდებარედ, კომბინირებული სპორტული მოედანი მოეწყო. 1100 კვ. მ ფართობზე თანამედროვე სტანდარტის ფეხბურთის სტადიონი და ჩოგბურთის კორტი განთავსდა.

,,ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა, განსაკუთრებით ახალგაზრდებში, როგორც ქვეყნის ხელისუფლების, ისე დედაქალაქის მთავრობის და წარმომადგენლობითი ორგანოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. აღნიშნული სპორტული მოედნის მოწყობა ადგილობრივი მცხოვრებლების სურვილი იყო, რის შესასრულებლადაც ძალა არ დავიშურეთ. ვაკის რაიონის გამგეობამ მოამზადა პროექტი და განხორციელდა შესაბამისი სამუშაოები, რომლის შედეგად აქ მცხოვრებ ადამიანებს დღეს უკვე აქვთ თანამედროვე სტანდარტების მქონე, კეთილმოწყობილი ჩოგბურთის კორტი და ფეხბურთის სტადიონი".

გიორგი ბირბიჩაძე - ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"-ს წევრი

2019 წლის ნოემბრიდან დღემდე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიურლი საქართველოს" მიერ 16 სხდომა ჩატარდა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების რაოდენობა - 21, დავესწარი 15 სხდომას და განვიხილე 19 საკითხი.

თარიღი	**საკითხი**
05.11.2019	ახალი ავტობუსების ექსპლუატაციაში ჩაშვება; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის "ქართული

	ოცნება-დემოკრატიული საქართველო" მიერ 2020 წლის საბიუჯეტო წინადადებების შემუშავება ქ. თბილისის მერიის წარმომადგენლებთან ერთობლივად განსახილველად; დეპუტატების მიერ სხდომის მიმდინარეობისას დაყენებული სხვადასხვა საკითხები.
12.11.2019	თბილისის ვიცე-მერისა და საფინანსო სამსახურის უფროსთან ერთად თბილისის 2020 წლის ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრების განხილვა.
21.11.2019	2020 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით რეკომენდაციების წარდგენა; დეპუტატების მიერ სხდომის მიმდინარეობისას დასმული სხვადასხვა საკითხის განხილვა.
17.12.2019	ერეკლე კუხიანიძის ფრაქციიდან ''ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველო'' გარიცხვის საკითხის განხილვა; ერეკლე კუხინიძე ქ. თბილისის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენების საკითხის დაყენება.
25.12.2019	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით ფრაქციების პოზიციის შეჯერება.
21.01.2020	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარის ვაკანტურ თანამდებობაზე ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო" წევრის გიორგი დოხტურიშვილის

	კანდიდატურის წარდგენა
27.02.2020	მოსახლეობასთან კომუნიკაცია და წინადადებების ინიცირება მუნიციპალიტეტის პრობლემებთან დაკავშირებით
17.03.2020	ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უმრავლესობაში გაერთიანებული ფრაქციების მიერ სოციალური ღონისძიებების ორგანიზება კორონავირუსის პრევენციის მიზნით
02.04.2020	კორონავირუსის გამო ქვეყანაში შექმნილი ვითარების გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის მიერ გასატარებელი ფინანსური ხასიათის ღონისძიებები
08.05.2020	ი. ჭავჭავაძის გამზირზე ტრანსპორტის მოძრაობის ახალი სქემის შემოღება
23.06.2020	ქ. თბილისის ინფრასტრუქტურული პროექტები და ბიუჯეტის სეკვესტრი
29.06.2020	ქ. თბილისის 2020 წლის ბიუჯეტის ფარგლებში სეკვესტრირებული პროექტები და გამოთავისუფლებული საბიუჯეტო სახსრები
09.07.2020	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ცვლილებების პროექტი
11.08.2020	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 14 აგვისტოს სხდომაზე განსახილველი საკითხები
15.09.2020	წინასაარჩევნო გარემოს გამოწვევები
01.10.2020	წინასაარჩევნო გარემოს გამოწვევები.ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის არჩევა